

Salina Marghania, a student of the XI grade of Poti Public School N6. 16 years old

Hello, dear European friend, my name is Salina, and I would like to tell you the story of my country's independence. Georgia first gained independence on May 26, 1918. Before that, the history of Georgia's independence began back in 373, when the Kingdom of Kartli was divided into spheres of influence between Rome and Iran, but from the second half of the 5th century it completely surrendered to Iran. After the unification of all of Georgia, King Vakhtang I gained independence from Iran in the 90s of the 5th centuries. In the 7th century, the Arabs completely conquered Georgia and imposed heavy obligations on the population - paying tribute and supplying warriors. At the end of the 8th - beginning of the 9th centuries, the power of the Caliphate weakened, the Arabs unsuccessfully tried to maintain dominance in Georgia through punitive expeditions. During the period of peace, large principalities arose on the lands of Georgia, which were constantly in conflict with each other. The country was united by an external threat from the Seljuks. King David IV managed to unite Georgia, make the state government unified and centralized, and as a result, expel foreigners from the territory of the Caucasus. The reign of Tamar the Great in the 12th century was a period of prosperity for the country, when the military and political power of the state was at its highest level. Tamar the Great was able not only to protect the state from invaders, but also to subjugate two Byzantine provinces. Since 1386, the devastating raids of Tamerlane's troops began. They destroyed the country eight times, the population was halved, many cities were ruthlessly destroyed. By the middle of the 15th century, Georgia found itself in a difficult situation: its last defender, Byzantium, had fallen, and the Ottoman Empire and Iran turned their attention to the state. A strong ally was needed, and Russia turned out to be one of them. The "Treaty of Georgievsky" was concluded, the terms of which Russia failed to fulfill, as a result of which Georgia was destroyed by the invasion of Agha-Mahmud Khan. In the following war, the king of Kartli-Kakheti, Giorgi XII, sent Russia "points of request" and after the king's death, in 1801, Georgia finally became part of Russia. At that time, Russia attempted to Russify Georgia and abolished the autocephaly of the Georgian Church, which led to several conspiracies. In 1918, after the collapse of the Russian Empire, Georgia gained political independence. However, this freedom did not last long: in 1921, Soviet Russia occupied Georgia. On April 9, 1991, the Supreme Soviet of Georgia adopted an act of restoration of independence, although Georgia formally remained part of the USSR until the end of the same year, until its dissolution. Georgia has been an independent state since December 26, 1991. After the collapse of the Soviet Union, Georgia went through many difficulties, including an economic recession, one of the deepest in the entire post-Soviet space. In 1992-1994, it reached 65.1%, and the average real wage decreased 10 times. Georgia lost its usual markets for agricultural and food products, which was caused by the economic decline in the CIS countries and the opening of their markets to suppliers from other countries. Georgia's population almost halved, birth rates fell, mortality rates rose, and migration became unrealized. Factories and meat processing plants switched mainly to handicraft production and barely managed to survive. This was due to the shortage of the working-age population and the loss of trade relations with the republics that were part of the Soviet

Union. Nevertheless, Georgia shows good economic dynamics and recovered quite quickly from the crisis of 2008-2009. Moreover, Georgia's experience with reforms, including those implemented in 2004-2012, is still considered an example for other post-Soviet countries.

Today, after gaining independence, Georgia's foreign policy is focused on joining NATO and the European Union. On December 4, 2023, the Council of the European Union granted Georgia the status of an official candidate for EU membership. However, in late October 2024, following the victory of the ruling party, „Georgian Dream”, in the parliamentary elections in Georgia, European integration was suspended until 2028. Although Georgia is a free country, society always strives for the better, therefore, people always develop in various fields to achieve complete harmony and freedom. As the French philosopher Voltaire said, “Freedom is not something that is given to you, but something that cannot be taken away.”, but also “Freedom consists only in dependence on the laws.” Freedom refers to a person's choice. Freedom of choice means that a person can choose what he wants and act as he wants, but all this happens within the framework of the law. The law should not limit human freedom, it should complement and regulate it, helping in many ways. Society should have freedom of speech, and their opinion should be considered by the government. There should be a well-established mechanism of mutual assistance between the government and the people, which does not violate the laws of Justice and morality, and also contributes to the growth of positive attitudes in society.

Georgia does not yet have the same level of freedom of speech as many articles have mentioned, but I hope that in the future Georgia will be a sustainable, developed, democratic country where people's opinions will be considered and will have a positive impact on the country.

ფოტის N6 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე სალინა მარღანია. 16 წლის

მოგესალმები ძვირფასო ევროპელო მეგობარო, მე მქვია სალინა და მინდა მოგიყვე ჩემი ქვეყნის დამოუკიდებლობის ისტორია. საქართველომ პირველად დამოუკიდებლობა მოიპოვა 1918 წლის 26 მაისს, მანამდე, საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორია დაიწყო ჯერ კიდევ 373 წელს, როდესაც ქართლის სამეფო გავლენის სფეროებად გაიყო რომსა და ირანს შორის, მაგრამ V საუკუნის მეორე ნახევრიდან იგი მთლიანად ირანს დაემორჩილა. მთელი საქართველოს გაერთიანების შემდეგ, მეფე ვახტანგ I-მა V საუკუნის 90-იან წლებში ირანისგან დამოუკიდებლობა მოიპოვა. VII საუკუნეში არაბებმა მთლიანად დაიპყრეს საქართველო და მოსახლეობას მძიმე ვალდებულებები დააკისრეს - ხარკის გადახდა და მეომრების მომარაგება. VIII საუკუნის ბოლოს - IX საუკუნის დასაწყისში ხალიფატის ძალაუფლება შესუსტდა, არაბები წარუმატებლად ცდილობდნენ სადამსჯელო ექსპედიციებით საქართველოში ბატონობის შენარჩუნებას. სიმშვიდის პერიოდში საქართველოს მიწებზე წარმოიშვა დიდი სამთავროები, რომლებიც მუდმივად კონფლიქტში იყვნენ ერთმანეთთან. ქვეყანას აერთიანებდა სელჩუკთა მხრიდან გარე საფრთხე. მეფე დავით IV-მ შეძლო საქართველოს გაერთიანება, სახელმწიფო ხელისუფლება ერთიანი და

ცენტრალიზებული გახადა და შედეგად, კავკასიის ტერიტორიიდან განდევნა უცხოელები. XII საუკუნეში თამარ მეფის მეფობა ქვეყნის აყვავების პერიოდი იყო, იმ დროს სახელმწიფოს სამხედრო და პოლიტიკური ძალა უმაღლეს დონეზე იყო. თამარ მეფეს შეეძლო არა მხოლოდ სახელმწიფოს დაცვა დამპყრობლებისგან, არამედ ორი ბიზანტიური პროვინციის დამორჩილებაც. 1386 წლიდან დაიწყო თემურლენგის ჯარების დამანგრეველი თარეში. მათ ქვეყანა რვაჯერ გაანადგურეს, მოსახლეობა განახევრდა, ბევრი ქალაქი დაუნდობლად განადგურდა. XV საუკუნის შუა პერიოდისთვის საქართველო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა: მისი უკანასკნელი დამცველი, ბიზანტია, დაეცა და ოსმალეთის იმპერიამ და ირანმა ყურადღება სახელმწიფოს მიაპყრეს. ძლიერი მოკავშირე იყო საჭირო და რუსეთიც ერთ-ერთი აღმოჩნდა. დაიდო “გეორგიევსკის ტრაქტატი”, რომლის პირობაც რუსეთმა ვერ შეასრულა, რის გამოც საქართველო განადგურებული იყო აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისგან. შემდეგომში ქართლ-კახეთის მეფემ გიორგი XII გაუგზავნა “სათხოვარი პუნქტები” რუსეთს და მეფის გარდაცვალების შემდეგ, საქართველო საბოლოოდ რუსეთის შემადგენლობაში შევიდა 1801 წელს. ამ დროს რუსეთი ცდილობდა საქართველოს გარუსებას და ასევე, გააუქმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, რის გამოც არა ერთი შეთქმულება მოხდა. 1918 წელს, რუსეთის იმპერიის დამხობის შემდეგ, საქართველომ პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვა. თუმცა თავისუფლება დიდხანს არ გაგრძელებულა: 1921 წელს საბჭოთა რუსეთმა საქართველო დაიპყრო. 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, თუმცა იმავე წლის ბოლომდე სსრკ-ის დაშლამდე საქართველო ფორმალურად მის შემადგენლობაში რჩებოდა. 1991 წლის 26 დეკემბრიდან საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ გაიარა არა ერთი სირთულე, მათ შორის ეკონომიკური ვარდნა, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ღრმა იყო მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში. 1992-1994 წლებში მან 65.1%-ს მიაღწია, ხოლო საშუალო რეალური ხელფასი 10-ჯერ შემცირდა. საქართველომ დაკარგა სოფლის მეურნეობისა და საკვები პროდუქტების ჩვეული ბაზრები, რაც განპირობებული იყო დსთ-ს ქვეყნებში ეკონომიკური ვარდნით და მათი ბაზრების სხვა ქვეყნებიდან მომწოდებლებისთვის გახსნით. საქართველოს მოსახლეობა თითქმის განახევრდა, შობადობა შემცირდა, სიკვდილიანობა გაიზარდა, მიგრაცია კი არარეალიზებული გახდა. ფაბრიკები და ხორცის გადამამუშავებელი ქარხნები, ძირითადად, ხელნაკეთ წარმოებაზე გადავიდა და ძლივს ახერხებდნენ თავის გატანას. ეს გამოწვეული იყო შრომისუნარიანი მოსახლეობის დეფიციტით და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფ რესპუბლიკებთან სავაჭრო ურთიერთობების დაკარგვით. მიუხედავად ამისა, საქართველო კარგ ეკონომიკურ დინამიკას ავლენს და საკმაოდ სწრაფად აღდგა 2008-2009 წლების კრიზისიდან. უფრო მეტიც, საქართველოს გამოცდილება რეფორმებთან დაკავშირებით, მათ შორის 2004-2012 წლებში განხორციელებული რეფორმების, დღემდე მისაბამ მაგალითად ითვლება სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.

დღეს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს საგარეო პოლიტიკა ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებაზეა ორიენტირებული. 2023 წლის 4 დეკემბერს ევროკავშირის

საბჭომ საქართველოს ევროკავშირის წევრობის ოფიციალური კანდიდატის სტატუსი მიანიჭა. თუმცა, 2024 წლის ოქტომბრის ბოლოს, საქართველოში საპარლამენტო არჩევნებში მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების“, გამარჯვების შემდეგ, ევროპული ინტეგრაცია 2028 წლამდე შეჩერდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო თავისუფალი ქვეყანაა, საზოგადოება ყოველთვის მიისწრაფვის უკეთესობისკენ, შესაბამისად, ადამიანები ყოველთვის ვითარდებიან სხვადასხვა სფეროში, რათა მიაღწიონ სრულ ჰარმონიასა და თავისუფლებას. როგორც თქვა ფრანგ ფილოსოფოსმა ვოლტერმა „თავისუფლება არ არის ის, რასაც გაძლევენ, არამედ ის, რისი წართმევაც შეუძლებელია.“, მაგრამ, ასევე „თავისუფლება მხოლოდ კანონებზე დამოკიდებულებაში მდგომარეობს“. თავისუფლება ადამიანის არჩევანს ეხება. არჩევანის თავისუფლება ნიშნავს, რომ ადამიანს შეუძლია აირჩიოს ის, რაც სურს და იმოქმედოს ისე, როგორც სურს, მაგრამ ეს ყველაფერი კანონის ფარგლებში ხდება. კანონი არ უნდა ზღუდავდეს ადამიანის თავისუფლებას, ის უნდა ავსებდეს და არეგულირებდეს მას, ეხმარებოდეს მრავალი თვალსაზრისით. საზოგადოებას უნდა ჰქონდეს სიტყვის თავისუფლება და მათი აზრი გათვალისწინებული იყოს მთავრობის მიერ. მთავრობასა და ხალხს შორის იყოს ურთიერთდახმარების კარგად ჩამოყალიბებული მექანიზმი, რომელიც არ არღვევს სამართლისა და ზნეობის კანონებს და ასევე ხელს უწყობს საზოგადოებაში პოზიტიური განწყობების ზრდას.

საქართველოში ჯერ-ჯერობით არ არის ასეთი დონის სიტყვის თავისუფლება, რაზეც მიუთითებს არა ერთი სტატია, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ მომავალში საქართველო იქნება მდგრადი, განვითარებული, დემოკრატიული ქვეყანა, სადაც გათვალისწინებული იქნება ხალხის აზრი და დადებით გავლენას მოახდენს ქვეყანაზე.